THE WORLD BANK

Working for a World Free of Poverty

პრეს რელიზი

სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში

მსოფლიო ბანკი უფრო მეტი სამუშაო ადგილის შექმნის და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე რეკომენდაციებს იძლევა

ვარშავა, 2013 წლის 7 ნოემბერი - მსოფლიო ბანკის ახალი ანგარიშის *„სამუშაოზე დაბრუნება: სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში“* მიხედვით, რეგიონის ბევრ ქვეყანაში გატარებული შთამბეჭდავი რეფორმების და 2009 წლამდე ათი წლის მანძილზე არსებული ეკონომიური ზრდის მაღალი მაჩვენებლების მიუხედავად, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში უმუშევრობის დონე მაღალი, ხოლო ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მაჩვენებლები დაბალია.

„სამუშაო ადგილები უმნიშვნელოვანესია ადამიანთა სიღარიბისგან ხსნისთვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ კეთილდღეობა ყველას მიერ იქნას გაზიარებული. კარგი სამუშაო ადგილები ადამიანებისთვის უფრო მეტი უფლებების მიცემის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი უფრო მეტად ჩართვის საშუალებაც არის,“ განაცხადა **მსოფლიო ბანკის ვიცე პრეზიდენტმა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ლორა ტაკმა.** *„ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებში სამუშაო ადგილებთან დაკავშირებული პრობლემა საკმაოდ მწვავეა. თუმცა, ეს გამოწვევა არ არის გადაულახავი. ამ მხრივ კარგი ამბავია ის, რომ რეგიონის ბევრ ქვეყანაში აუცილებელი რეფორმების გატარების შედეგად აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზები უკვე დასახულია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ ახალ ანგარიშში მოცემული ანალიზი და რეკომენდაციები რეგიონში პოლიტიკის გატარებაში თავის წვლილს შეიტანს.“*

ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები ორ ძირითად სფეროს ეხება, რომელთა მიზანია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილის შექმნა.

- სამუშაო ადგილების შექმნისთვის საფუძვლის მომზადება ხელსაყრელი მაკროეკონომიკური და ბიზნეს გარემოს შექმნით, რომელიც არსებულ ფირმებს ზრდის შესაძლებლობას, ხოლო ახალ ფირმებს ჩამოყალიბების და წარმატების სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით მიღწევის საშუალებას მისცემს;
- მუშა ხელისთვის ახალ სამუშაო ადგილებთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენების საშუალების მიცემა, რათა მათ ჰქონდეთ სწორი უნარ-ჩვევები და სამუშაო სტიმული, შრომის ბაზარზე შეუფერხებელი წვდომა და ისეთ რეგიონებში გადასვლის საშუალება, სადაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის უფრო დიდი პოტენციალი არსებობს.

ანგარიშის მიხედვით რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ტემპი კრიზისამდე პერიოდშიც (2000-2007 წლები) ნელი იყო იმ დროს, როცა აღნიშნულ რეგიონში ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლები შეიმჩნეოდა, ვიდრე ბევრ სხვა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ამის შემდეგ, 2009 წლის კრიზისის შედეგად, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკური და ამ რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნის მხრივ არსებული მაჩვენებლები მკვეთრად შემცირდა. კრიზისის შემდგომ პერიოდში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ტემპები კვლავ დაბალია. 2009 წლის კრიზისამდე პერიოდში ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მცხოვრები სამუშაო ასაკის ყოველი 100 ადამიანიდან სამუშაო ადგილი მხოლოდ 52-ს ჰქონდა. მაშინ, როცა ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 59-ს, აღმოსავლეთ აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონში 66-ს, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში 57-ს უდრიდა. სამუშაო ძალის აქტიურობის დონე (ანუ იმ ადამიანების აქტიურობის დონე, რომლებიც მუშაობენ ან სამუშაოს ეძებენ) ასევე დაბალი იყო და საშუალოდ 58 პროცენტს შეადგენდა. ფინანსური კრიზისის და ევროზონის რეცესიის შედეგად 2012 წელს რეგიონში უმუშევრობამ 14 პროცენტს მიაღწია. ის, რომ უმუშევარი ადამიანების დაახლოებით ნახევარი სამუშაოს წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე ეძებენ, დამაფიქრებელი ფაქტორია. ახალგაზრდა ან ხანშიშესულ ადამიანებს, ქალებს და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უმუშევრობის ან არაფორმალურ/მცირეანაზღაურებად



სამუშაოებზე დასაქმების უფრო მაღალი შანსი აქვთ. მაგალითად, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მცხოვრები ყოველი ხუთი ახალგაზრდიდან ერთი არც მუშაობს, არც სამუშაოს არ ეძებს და არც სწავლობს.

ამ შემაშფოთებელი სიტუაციის გამომწვევი ფაქტორების ანალიზისას ანგარიშის ავტორები ხუთ ძირითად დასკვნამდე მივიდნენ:

1. საბაზრო რეფორმები, რომლებიც ადგილობრივ ბაზრებზე კონკურენციის ზრდაზეა მიმართული, როგორც სამუშაო ადგილების შექმნის ისე პროდუქტიულობის ზრდის მხრივ შედეგების მომცემია. თუმცა, ამ შედეგების მიღებას დრო სჭირდება. თავდაპირველად, ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის შედეგად სამუშაო ადგილების როგორც შექმნა ისე გაქრობა ხდება. ეკონომიკის შემდგომ მოდერნიზებასთან ერთად სამუშაო ადგილების შექმნის ტემპი მათი გაქრობის ტემპებს ასწრებს, რაც საბოლოო ჯამში დასაქმების მაჩვენებლების ზრდას იწვევს. იმ ქვეყნებმა, რომლებმაც რეფორმირება ადრე დაიწყეს და გლობალურ ბაზრებში ინტეგრირება მოახდინეს (ანუ ე.წ. „წინწასული მოდერნიზატორები“), სამუშაო ადგილების შექმნაში უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს ვიდრე ე.წ. „დაგვიანებულმა მოდენიზატორებმა“, რომლებმაც რეფორმები ნელა ან არათანმიმდევრულად განახორციელეს.
2. სწრაფად მზარდი ფირმები (ე.წ. „გაზელები“), რომლებიც ძირითადად ახალგაზრდა ადამიანებისგან შედგება და რომლებიც დანარჩენი ფირმებისა და კომპანიების მცირე ნაწილს წარმოადგენენ, რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების უდიდესი ნაწილის შემქმნელია. თუმცა, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის სხვა საშუალოშემოსავლიან რეგიონებთან შედარებით, მეწარმეობის დონეები მაინც დაბალია. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც რეფორმები ნელა მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ქვეყნებმა სამეწარმეო პოტენციალი ახალი ბიზნესების წარმატებით შექმნაზე უნდა მიმართონ, რასაც სამუშაო ადგილების შექმნის დაჩქარება შეუძლია.
3. განსხვავება მოთხოვნილ და არსებულ უნარებს შორის დასაქმების პერსპექტივებს აფერხებს. განსაკუთრებით ეს ახალგაზრდა და ხანდაზმული მუშა ხელის შემთხვევაში იგრძნობა. ეს იმის შედეგია, რომ საგანმანათლებლო სისტემებმა დამსაქმებლების მიერ მოთხოვნილ უნარებში მომხდარ ცვლილებებზე არაადეკვატური რეაგირება მოახდინეს. ამ გამოწვევასთან

გასამკლავებლად განათლების, ტრენინგების და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სისტემების საფუძვლების ტრანსფორმირებაა საჭირო.

4. დასაქმებას ხელს ასევე ის გადასახადები უშლის, რომელთა გადახდა დაუსაქმებელ ან არაფორმალურად დასაქმებულ ადამიანებს ფორმალურ სამუშაო ადგილზე გადასვლისას უხდებათ. ამგვარი გადასახადები დასაქმებას ხელს უშლის. განსაკუთრებით ეს მცირეანაზღაურებად/არასრულ სამუშაო განაკვეთზე მომუშავე პირებს და ოჯახებში დამატებითი შემოსავლების შემომტან პირებს ეხებათ, რომლებიც ხშირად ქალები, უმცირესობების წარმომადგენლები, ახალგაზრდები და ხანდაზმულები არიან.
5. რეგიონის ქვეყნებში არსებული სამუშაო ძალის დაბალი მობილურობა ხელს უშლის მუშა ხელის ისეთ რეგიონებში გადასახლებას, სადაც სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალი შედარებით მაღალია. უცხო ქვეყნებში მიგრაცია შიდა მობილურობის დაბალ ტემპებს ანაცვლებს. თუმცა, ეს ბევრი ქვეყნის დემოგრაფიულ სიტუაციას აუარესებს.

რეგიონში სამუშაო ადგილებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზე მიმართულ პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იქნას ცენტრალური დაგეგმარების მემკვიდრეობა, რაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სიჩქარესთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ეს საკითხი ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მზარდ დემოგრაფიულ პრობლემებთან (რაც მოსახლეობის სწრაფი დაბერებით არის გამოწვეული) არის დაკავშირებული. ამასთან, ამჟამად თურქეთში და ცენტრალური აზიის ქვეყნებში შრომით ბაზარზე ახალგაზრდების დიდი რაოდენობა შედის.

„მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილების შესაქმნელად პოლიტიკის გამტარებლები შრომითი ბაზრის ტრადიციული პოლიტიკის და რეგულაციების იქით უნდა იხედებოდნენ“, განაცხადა **ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის სიღარიბის შემცირების და ეკონომიკური მართვის სექტორის მენეჯერმა და წინამდებარე ანგარიშის თანაავტორმა კაროლინა სანჩეზ-პარამომ.** *„მართალია პოლიტიკა თითოეული ქვეყნის ეკონომიკური მოდერნიზაციის ეტაპზე და დემოგრაფიულ ამოცანებზე უნდა იყოს მორგებული, მაგრამ ძალისხმევის გაწევა რამოდენიმე მიმართულებით არის საჭირო, რათა სამუშაო ადგილების შემქმნელი აქტიური კერძო სექტორი იქნას განვითარებული: რეფორმების და საწარმოების რესტრუქტურიზაციის გაგრძელება, მეწარმეობის ხელშეწყობა, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და ფინანსებზე წვდომა (რათა ბიზნესების გაფართოება იქნას უზრუნველყოფილი), გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციის გაძლიერება და ე.წ.*

„აგლომერაციული ეკონომიკის“ მხარდაჭერა უკეთესი ინფრასტრუქტურის და ლოგისტიკის შექმნით“.

სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით არსებული ახალი შესაძლებლობებისთვის მუშა ხელის უკეთესად მოსამზადებლად ანგარიშის ავტორები ისეთი პოლიტიკის გატარებას უჭერენ მხარს, რომელიც ადამიანების მიერ თანამედროვე სამუშაო ადგილებზე საჭირო უნარ-ჩვევების შესწავლას გულისხმობს. გარდა ამისა, უნდა მოხდეს იმ შემაფერხებელი გარემოებების და ბარიერების გაუქმება, რომლებიც ადამიანებს პროდუქტიულ დასაქმებაში უშლიან ხელს. ამაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, შიდა მიგრაციის შემაფერხებელი გარემოებების გაუქმება იგულისხმება.

„მაღალი შრომითი გადასახადების და სოციალური დაცვის სისტემების გამო, რომელთა ფარგლებშიც უმუშევრობისთვის დაწესებული გარკვეული სოციალური დახმარებები დაუყოვნებლივ უქმდება ან რომლებიც დახმარების მიმღებ ბენეფიციარებს ოფიციალურ დასაქმებას უკრძალავს, ხშირად ისე ხდება რომ ადამიანებს, განსაკუთრებით მცირეანაზღაურებად სამუშაოებზე დაკავებულ პირებს, არ აწყობთ ფორმალურ სამუშაო ადგილებზე დასაქმება“, განაცხადა **მსოფლიო ბანკის ადამიანური განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის სექტორის მენეჯერმა ომარ არიასმა, რომელიც ამ ანგარიშის თანაავტორია.** *„სამუშაო ადგილების უფრო სწრაფად შესაქმნელად დასაქმებულებს, საწარმოებს და მთავრობებს შორის არსებულ სოციალურ კონტრაქტებში ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო. საგანმანათლებლო სისტემების მოდერნიზება, რათა ისინი უკეთესად მოერგონ სწრაფად ცვალებად შრომით ბაზრებს. ისევე როგორც პენსიების, სოციალური დახმარებების, შრომითი გადასახადების და რეგულაციების მეტად მორგება უფრო ხანგრძლივი და პროდუქტიული სამუშაო ადგილების ხელშესაწყობად უმნიშვნელოვანესია სამუშაო ადგილების სტაბილურად შექმნისთვის, და ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საერთო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად“.*

პრეს რელიზი

2014/172/ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი

საკონტაქტო პირები:

ვაშინგტონში: ელენა კარაბანი, (202) 473-9277, ekaraban@worldbank.org

ევროპაში გაშვებასთან დაკავშირებით: ნატალია სიელიკი, (202) 458-9369, ncieslik@worldbank.org

მსოფლიო ბანკის მიერ ევროპისა და ცენტრალური აზიის განვითარებად ქვეყნებში წარმოებული სამუშაოების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ ვებ-გვერდს: www.worldbank.org/eca

გვეწვიეთ Facebook-ზე: https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia

გვეწვიეთ Twitter-ზე: http://www.twitter.com/worldbank

იხილეთ ჩვენი გვერდი Youtube-ზე:http://www.youtube.com/worldbank